



N 04/1027
23.10.2024

ბრძანება

1027-01-4-202410231550



შპს „დეილის“ (ს/ნ 406088638) მიერ სს „ქართული ლუდის კომპანიის“ (ს/ნ 404900737) აქციების 100%-ის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-3 და მე-6 პუნქტების, 11¹ მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 17¹ მუხლის მე-4 პუნქტის, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-8¹ მუხლის, მე-16 მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს გადაწყვეტილება შპს „დეილის“ (ს/ნ 406088638) მიერ სს „ქართული ლუდის კომპანიის“ (ს/ნ 404900737) აქციების 100%-ის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ თანდართული სახით;
2. შპს „დეილის“ (ს/ნ 406088638) მიერ სს „ქართული ლუდის კომპანიის“ (ს/ნ 404900737) აქციების 100%-ის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად;
3. გადაწყვეტილება გაეგზავნოს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში შეტყობინების წარმომდგენ პირს;
4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ, პერსონალურ ან/და საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით;




5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64);

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვიანიძე

თავმჯდომარე



გადაწყვეტილება

შპს „დეილის“ (ს/ნ 406088638) მიერ სს „ქართული ლუდის კომპანიის“ (ს/ნ 404900737) აქციების 100%-ის შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I. ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში 2024 წლის 11 ოქტომბრის N 01/5204 წერილით შემოვიდა შეტყობინება შპს „დეილის“ (ს/ნ 406088638) და სს „ქართული ლუდის კომპანიის“ (ს/ნ 404900737) შორის დაგეგმილი განსახორციელებელი კონცენტრაციის თაობაზე. აღნიშნული შეტყობინება ცნობილ იქნა დასაშვებად და მხარის მიერ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა შეტყობინების განხილვისათვის დადგენილი თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.¹

შეტყობინება მოიცავდა დადგენილი ფორმით მოთხოვნილ ინფორმაციას კონცენტრაციის შესახებ:

- ზოგადი მონაცემები კონცენტრაციაში მონაწილე პირთა შესახებ;
- ზოგადი ინფორმაცია კონცენტრაციის შესახებ - მისი ფორმა, მიზანი;
- კონცენტრაციის მხარეებთან დაკავშირებული პირები, მათი ერთობლივი შემოსავლები 2023 წელს;
- კონცენტრაციის აღწერა - მხარის მოსაზრება შესაბამის ბაზართან დაკავშირებით, უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნესგეგმები, კონცენტრაციის სავარაუდო შედეგები, კონცენტრაციის მოსალოდნელი შედეგების აღწერა, მოლოდინები კონცენტრაციის დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის შესახებ. ასევე, საკითხები, რამაც მხარეთა მოსაზრებით შეიძლება გავლენა იქონიოს საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტაზე და რაზეც სააგენტოს მიერ ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული.

შეტყობინებას დანართის სახით თან ახლდა:

- კონცენტრაციის მხარეებთან დაკავშირებული პირებისა და მათი მონაცემების ამსახველი სქემა;
- კონცენტრაციის მხარეთა და მათთან დაკავშირებული იმ პირების ამონაწერები მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების რეესტრიდან, რომლებიც კონცენტრაციის მხარის მიერ განსაზღვრულ შესაბამის ბაზარზე ოპერირებენ;
- კონცენტრაციის მხარეთა მართვაში არსებული ფილიალებისა და მათი მისამართების ნუსხა;
- მხარეთა მიერ წარმოებული, შეძენილი და რეალიზებული საქონლისა თუ მომსახურების ნუსხა;

ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ:

დაგეგმილი კონცენტრაციის შესწავლის დროისათვის სს „ქართული ლუდის კომპანიის“ (ს/ნ 404900737) აქციების 100%-ს ფლობს შპს „ჩოჩელი ინვესტმენტ გრუპ“ (ს/ნ 436059248), რომლის 50-50 %-

¹ 2024 წლის 11 ოქტომბრის წერილი რეგ. N 01/5210

იან წილებსაც, თავის მხრივ, ფლობენ ფ/პ იზოლდა ჩარიგოგდიშვილი (პ/ნ) და ფ/პ ცეზარი ჩოჩელი (პ/ნ). დაგეგმილი კონცენტრაციის ფარგლებში შპს „დეილი“ აპირებს აქციების 100% სრულად შეისყიდოს შპს „ჩოჩელი ინვესტმენტ გრუპისაგან“.

არსებული მონაცემებით, შპს „დეილის“ 30%-იანი წილის მფლობელი და პარტნიორია შპს „ჰოლდინგ-ჯი“ (ს/ნ 205116060), 25.9%-იანი წილის მფლობელია ფ/პ ზურაბ ზაქარიაძე (პ/ნ), 11.05 %-ს ფლობს ფ/პ დავით კუხალაშვილი (პ/ნ), 7% არის ფ/პ რუსუდან მაისურაძის (პ/ნ) საკუთრებაში, 1.05% - მარინა პეტრიაშვილის (პ/ნ), ხოლო 25 %-ის მესაკუთრეა შპს „დიენეი კაპიტალი ინვესტი“ (ს/ნ 405644986). თავის მხრივ, შპს „დიენეი კაპიტალი ინვესტის“ 50%-ის მესაკუთრეა ფ/პ დავით კუხალაშვილი (პ/ნ), დარჩენილი 50%-ისა კი ფ/პ ნინო სიმონიშვილი (პ/ნ). რაც შეეხება შპს „ჰოლდინგ-ჯი-ის“, მისი 100%-იანი წილის მფლობელია ფ/პ არჩილ გეგენავა (პ/ნ).

სააგენტოში წარმოდგენილ შეტყობინებაში მითითებულია, რომ კონცენტრაციის მხარეებთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტებიდან მხოლოდ შპს „გვირილა რითეილი“ (ს/ნ 405536317) და შპს „ფუდმარტი“ (ს/ნ 404460187) საქმიანობენ კონცენტრაციის შესაბამის ბაზარზე. ამასთან, როგორც განსახილველი კონცენტრაციის მხარეები უთითებენ, ბოლო 3 წლის განმავლობაში შპს „დეილიმ“ შეიძინა შპს „ფუდმარტის“ 100%-იანი წილი.

კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური აგენტები:

- სს „ქართული ლუდის კომპანია“ (ს/ნ 404900737) კონცენტრაციის განხორციელების დროისათვის ფლობს შპს „ზედაზენი 2012-ის“ (ს/ნ 404932258) 100%-იან წილს;

- შპს „რითეილ ჯგუფის“ (ს/ნ 436041659) 20.04%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის, შპს „ჯიბისი ინვესტის“ (ს/ნ 436047911) 100%-იანი წილის მფლობელია ასევე სს „ქართული ლუდის კომპანია“;

- შპს „ჯიბისი ინვესტი“ აგრეთვე ფლობს შპს „ჩოჩელი ბიზნეს ჯგუფის“ (ს/ნ 405105853) 100%-იან წილს, ეს უკანასკნელი კი შპს „რითეილ ჯგუფის“ (ს/ნ 436041659) 26.67%-იანი წილის მფლობელი პარტნიორის - შპს „დოლნეი ქონსალტენტის“ (HE357001; კვიპროსი) 100%-იანი წილის მესაკუთრეა;

- შპს „დეილი“ (ს/ნ 406088638) 60%-იან წილს ფლობს შპს „გვირილა რითეილში“ (ს/ნ 405536317);

- შპს „დეილის“ (ს/ნ 406088638) საკუთრებაშია ასევე შპს „ფუდმარტის“ (ს/ნ 404460187) 100%-იანი წილიც.

ამდენად, კონცენტრაციაში მონაწილე და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტები საქმიანობენ შემდეგ ბაზრებზე:

საცალო ვაჭრობის სფერო: შპს „გვირილა რითეილი“; შპს „ფუდმარტი“; შპს „დეილი“; შპს „რითეილ ჯგუფი“;

სადისტრიბუციო სფერო: შპს „ზედაზენი 2012“;

ლუდის, არალკოჰოლური სასმელებისა და წყლის წარმოება: სს „ქართული ლუდის კომპანია“.

კონცენტრაციის ფორმა:

განსახორციელებელი კონცენტრაციის ფორმა არის ეკონომიკურ აგენტზე სრული ერთპიროვნული კონტროლის მოპოვება აქციების შეძენის გზით, კერძოდ, შპს „დეილი“ აპირებს შეიძინოს სს „ქართული ლუდის კომპანიის“ აქციების 100% სრულად.

კონცენტრაციის მიზანი და გეგმა:

მხარეთა განცხადებით, კონცენტრაციის მიზანს წარმოადგენს კომპანიათა კაპიტალის გაზრდა და ბიზნეს საქმიანობის გაფართოება. ამასთან, შეტყობინებაში ყურადღება გამახვილებულია იმაზეც, რომ მიუხედავად იმისა, რომ შპს „დეილისა“ და სს „ქართული ლუდის კომპანიის“ საქმიანობის სფეროები განსხვავდება, სს „ქართული ლუდის კომპანიის“ მიერ კონტროლირებადი კომპანიები და შპს „დეილი“ წარმოდგენილი არიან დაახლოებით ერთსა და იმავე ბაზარზე და ამდენად, მათი არსებული ეკონომიკური და ბიზნეს გეგმები ძირითადად დარჩება უცვლელად.

შეტყობინებაში მითითებული მოსაზრების თანახმად, კონცენტრაცია ბაზარზე არ გამოიწვევს არსებით ცვლილებებს. მხარეები მიიჩნევენ, რომ საერთო გამოცდილების გაზიარებით, ინფრასტრუქტურული და ლოგისტიკური რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებით, შესაძლებელი გახდება ხარჯების შემცირება და ბიზნესის გაფართოება. ამასთან, მათივე აზრით, განსახილველ კონცენტრაციას ვერ ექნება ნეგატიური ეფექტი და არ გამოიწვევს მხარის მიერ დომინანტური მდგომარეობის მოპოვებას, ვინაიდან, შესაბამის ბაზარზე მოქმედებს ამავე სფეროში ოპერირებადი არაერთი მსხვილი კომპანია.

შეტყობინებაში მოცემულია შემძენის პოზიცია შესაბამის ბაზართან დაკავშირებითაც, კერძოდ, მითითებულია, რომ გარიგებაში მონაწილე მხარის საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით, კონცენტრაციის შესაბამის ბაზრად უნდა განისაზღვროს საცალო გაყიდვების ბაზარი. ამასთან, მხარეთა საქმიანობის გეოგრაფიული არეალიდან გამომდინარე, კონცენტრაციის გეოგრაფიულ ბაზარს წარმოადგენს ეროვნული დონე - საქართველოს ტერიტორია. რაც შეეხება დროით ჩარჩოს, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, იგი ბაზარს არ გააჩნია, ვინაიდან, საქმიანობა არის მუდმივი.

შეტყობინებაში ასევე მოცემულია სამი საკითხი, რამაც მხარეთა მოსაზრებით, შესაძლოა გავლენა იქონიოს სააგენტოს მხრიდან საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე:

- კონცენტრაცია არსებით ზეგავლენას არ მოახდენს საცალო ვაჭრობის ბაზრის ორგანიზებულ ქსელებსა და არაორგანიზებულ სავაჭრო ობიექტებზე;
- განსახორციელებელი კონცენტრაცია არ შეზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზრებზე და იგი თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან;
- კონცენტრაცია არ გამოიწვევს დომინანტური მდგომარეობის შექმნას ან მის გაძლიერებას.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ შეტყობინებაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და მათთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები.

II. სამართლებრივი მიმოხილვა

სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით და სხვა.

სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და 11¹ მუხლების მოთხოვნებს.

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის განმარტება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება ის უფლებები, რომელიც გამოიყენება კონცენტრაციის მიზნებისთვის კონტროლის განსახორციელებლად;
2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მისი კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ხოლო ამავე კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს ეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ აღემატება სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის წინა ფინანსური წლის ერთობლივი შემოსავლის 5%-ს. ჯარიმის დაკისრება შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსთვის შეტყობინების წარმოდგენისგან. ჯარიმის დაკისრების პარალელურად, შეტყობინების წარმოდგენის ვადას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სააგენტო და იგი არ შეიძლება იყოს 14 კალენდარულ დღეზე ნაკლები. სააგენტო განიხილავს კანონმდებლობის გვერდის ავლით განხორციელებულ კონცენტრაციას და იმ შემთხვევაში თუ ის მიიჩნევა დაუშვებლად, ჯარიმის დაკისრების პარალელურად მიმართავს სასამართლოს კონცენტრაციის გაუქმების და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით;
3. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი დარღვევით გამოწვეული ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე. თავის მხრივ, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 2 დეკემბრის N04/158 ბრძანებით დამტკიცებული „ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო მოქმედებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნის დასაცავად და ითვალისწინებს მხარეთა ინტერესებს. კერძოდ, უზრუნველყოფს, რომ მის მიერ გამოყენებული ჯარიმა იყოს სამართლიანი, პროპორციული და პრევენციული ხასიათის. ჯარიმის დაკისრების დროს, გასათვალისწინებელია, ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით, პირი

მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით, თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასაცილებლად, ან პირველად ჩაიდინა თუ არა მან მსგავსი ქმედება და სხვა. ჯარიმის განსაზღვრის დამატებითი კრიტერიუმები ასევე მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც. ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის გამოთვლის დროს, მხედველობაში მიიღება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის ეკონომიკური მდგომარეობა;

4. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე პირების ერთობლივი (ჯამური) წლიური შემოსავალი საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და, ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ერთობლივი შემოსავალი აღემატება 5 მილიონ ლარს;
5. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის მონაწილეთა ერთობლივი შემოსავლის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ერთეულების ერთობლივი შემოსავალი: ა) კონცენტრაციაში მონაწილე პირი; ბ) კონცენტრაციაში მონაწილე პირთა მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი ან პირდაპირ ან არაპირდაპირ მაკონტროლებელი საწარმოები; გ) საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან კონცენტრაციის მონაწილე პირთა ერთობლივი კონტროლის ქვეშ.
6. სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით - შეძენით, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით კონტროლის მოპოვების შემთხვევაში – შეტყობინების წარდგენის ვალდებულება ეკისრება(თ) შემძენ ან/და კონტროლის უფლების მომპოვებელ პირ(ებ)ს;
7. კანონის 11¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვისათვის დაწესებული საფასური შეადგენს 5 000 ლარს;
8. კანონის 11¹ მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა კანონის რეგულირების სფეროში, სააგენტო კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვას იწყებს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ და ამ დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღისა, ვალდებულია განიხილოს და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
 - ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ;
 - ბ) კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლებელია დაგეგმილი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადი არ იყოს ან თუ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი საკითხის დამატებით შესწავლა. სააგენტოს მიერ აღნიშნულ ვადაში ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიუღებლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;
9. კანონის 11¹ მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინება განიხილოს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან

არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა. ამ ვადაში სააგენტოს მიერ აღნიშნულ შეტყობინებაზე პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;

10. იმ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის რეგისტრაციისთვის, რომლებსაც ეკისრებათ ამ კანონის 11¹ მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია, არსებობდეს სააგენტოს გადაწყვეტილება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის შესახებ. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია;
11. კანონის 11¹ მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვამდე ან სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია. სააგენტოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია;
12. კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან. ხოლო, კონცენტრაცია, რომელიც ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას - არ არის თავსებადი;
13. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტები განსაზღვრავს დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. კერძოდ, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული აქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის შეფასების პრინციპები, მეთოდები და შესაბამისი კრიტერიუმები, ხოლო „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული აქტი ადგენს სასაქონლო ბაზრის შესწავლისა და შეფასებისათვის საჭირო პრინციპებსა და მეთოდებს;
14. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის.

III. ბაზრის ანალიზი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

- ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;
- ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;
- გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

ა) პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.²

როგორც აღინიშნა, სააგენტოში წარმოდგენილი შეტყობინების თანახმად, განსახილველი კონცენტრაციის ერთ-ერთი მხარე (შპს „დეილი“) და მონაწილე პირებთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტები (შპს „გვირილა რითეილი“, შპს „ფუდმარტი“, შპს „რითეილ ჯგუფი“) საქმიანობენ სწრაფი მოხმარების პროდუქტების („FMCG“) ბაზარზე - საცალო ვაჭრობის დონეზე.

გარდა ზემოაღნიშნულისა, კონცენტრაციის მხარე - სს „ქართული ლუდის კომპანია“, რომელზე კონტროლის მოპოვებაც ხდება, წარმოადგენს ლუდის, არაალკოჰოლური სასმელებისა და წყლის მწარმოებელ და იმპორტიორ კომპანიას. კერძოდ, სს „ქართული ლუდის კომპანიის“ მიერ წარმოებული პროდუქციის სეგმენტაცია შესაძლებელია რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ: ლუდი (~ %), არაალკოჰოლური სასმელები (%) და წყალი (~ %). სააგენტო აღნიშნავს, რომ ლუდის, ისევე როგორც არაალკოჰოლური სასმელების შემთხვევაში, შესაძლებელია ბაზრის დამატებითი სეგმენტაცია/ქვეკატეგორიების გამოყოფა, თუმცა განსახილველ შემთხვევაში, განხორციელებული კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესწავლის მიზნით, სააგენტოს მიერ ყურადღება გამახვილდება ლუდისა და არაალკოჰოლური სასმელების შესაბამის ბაზარზე, დამატებით ქვეკატეგორიზაციის გარეშე.

ამასთანავე, როგორც აღინიშნა სს „ქართული ლუდის კომპანია“ ერთპიროვნულად აკონტროლებს შპს „ზედაზენი 2012-საც“, რომელიც ოპერირებს სადისტრიბუციო მომსახურების დონეზე.

ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ კონცენტრაციაში მონაწილე მხარეები და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტები წარმოდგენილი არიან როგორც წარმოების, ასევე საბითუმო დისტრიბუციისა და საცალო რეალიზაციის დონეზე, სააგენტომ საჭიროდ ჩათვალა განსახილველი ტრანზაქციის შესაფასებლად ბაზარზე კონცენტრაციის დონე შეესწავლა სამივე მიმართულებით. კერძოდ, კონცენტრაციის დონის განსაზღვრის მიზნებისათვის მხედველობაში მიიღება კონცენტრაციის მხარეთა და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტების პროდუქციის სრული ასორტიმენტი და შეფასდება კონცენტრაციის როგორც ჰორიზონტალური, ასევე შესაძლო ვერტიკალური ეფექტები.

ბ) გეოგრაფიული საზღვრები

პროდუქციის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, კონცენტრაციის გეოგრაფიულ საზღვრად განისაზღვრა ეროვნული დონე.

გ) დროითი ჩარჩო

პროდუქციის მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით, შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

² კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის N 37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების საბაზრო წილების გამოთვლა:

ბაზრის ანალიზის პროცესში, სააგენტო ეყრდნობა აუცილებლობისა და თანაზომიერების პრინციპებს და ბაზრის ანალიზს ახორციელებს მიზნის მისაღწევად საჭირო და პროპორციული კვლევის ჩატარების გზით.

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, შესაბამისი სასაქონლო ბაზრის მოცულობა შესაძლებელია განისაზღვროს ქვეყანაში წარმოებული, ქვეყნიდან ექსპორტირებული და იმპორტირებული საქონლის მოცულობების გათვალისწინებით.

შესაბამის ბაზარზე მოქმედი კომპანიების იდენტიფიცირება, ბაზრის ანალიზის ფარგლებში, სააგენტომ მოახდინა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით.³ ბაზრის მოცულობის, მასზე მოქმედი კომპანიების, მათი საბაზრო წილებისა და ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის გამოთვლა განხორციელდა სსიპ შემოსავლების სამსახურიდან მიღებული ინფორმაციისა⁴ და სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების სისტემა „ORACLE“-ს მონაცემების, კერძოდ, ეკონომიკური აგენტების დამატებითი ღირებულების გადასახადის დეკლარაციებისა და სალაროს ბრუნვების გათვალისწინებით.

სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია პირველ რიგში შეეფასებინა FMCG ბაზრის საცალო დონე, კონცენტრაციის ინდექსი და ტრანზაქციის შედეგად მისი ცვლილების მაჩვენებელი შესაძლო ჰორიზონტალური ეფექტების წარმოსაჩენად. კერძოდ, შესაბამისი ბაზრის პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების გათვალისწინებით მოხდა კონცენტრაციის ინდექსის და მისი ცვლილების მაჩვენებლის გამოთვლა შპს „დეილისა“ და მასთან დაკავშირებული შესაბამისი ბაზრის ამავე დონეზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების წილების მიხედვით და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კონცენტრაციის შედეგად შპს „დეილი“ არაპირდაპირ კონტროლს მოიპოვებს შპს „რითეილ ჯგუფზე“.

არსებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად, სააგენტომ დადგინდა შემდეგი:

- 2023 წელს FMCG ბაზრის საცალო დონეზე ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებდა 12 000-მდე კომპანია;
- შპს „დეილისა“ და მასთან დაკავშირებული კომპანიების (შპს „გვირილა რითეილი“, შპს „ფუდმარტი“) საბაზრო წილმა შეადგინა %;
- შპს „რითეილ ჯგუფის“ საბაზრო წილი შეადგენს %-ს;
- ბაზრის კონცენტრაციის ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი კონცენტრაციის განხორციელებამდე შეადგენს 461 ერთეულს;
- ბაზრის კონცენტრაციის ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი კონცენტრაციის განხორციელების შედეგად გაიზარდა 120 პუნქტით - 581 ერთეულამდე.

³ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2024 წლის 21 ივნისის N 5-1571 წერილით მიღებული ინფორმაცია.

⁴ სსიპ შემოსავლების სამსახურის 2024 წლის 31 ივლისის N 21-11/58609 წერილით მიღებული ინფორმაცია.

შესაბამისად, განსახილველი ბაზარი (FMCG) არის დაბალკონცენტრირებული და განსახორციელებელი კონცენტრაციის შედეგად ადგილი არ აქვს კონცენტრაციის ინდექსის არსებით ცვლილებას და ის კვლავაც დაბალკონცენტრირებული დარჩება.

რაც შეეხება სს „ქართული ლუდის კომპანიას“, რომელზე პირდაპირ კონტროლს მოიპოვებს შპს „დეილი“ მისი აქციების სრულად შესყიდვის გზით, როგორც უკვე აღინიშნა, მისი საქმიანობის სფეროა ლუდის, წყლისა და არაალკოჰოლური სასმელების წარმოება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი ლუდის, ისევე როგორც არაალკოჰოლური სასმელების წარმოებისა და იმპორტის შემთხვევაში აწესებს აქციზური (ლუდი) და არააქციზური (არაალკოჰოლური სასმელები) სასმელების სავალდებულო მარკირების წესს. შესაბამისად, კონკრეტულ პერიოდში ქვეყანაში წარმოებული და იმპორტირებული ლუდის და არაალკოჰოლური სასმელების მოცულობის, ისევე როგორც ბაზარზე მოქმედი კომპანიების იდენტიფიცირება შესაძლებელია ამავე პერიოდში გააქტიურებული აქციზური და არააქციზური მარკების ანალიზით.

ბაზრის მოცულობის, მასზე მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობისა და მათი საბაზრო წილების გამოთვლის მიზნით, სააგენტომ სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“ გამოითხოვა ინფორმაცია 2023 წელს გააქტიურებული აქციზური და არააქციზური მარკების (მატერიალური და არამატერიალური) შესახებ.⁵ მიღებული ინფორმაციის მიხედვით:

არაალკოჰოლური სასმელების ბაზარი- 2023 წელი:

- ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - 215;
- ბაზრის მოცულობა - 464 757 669 ლიტრი;
- სს „ქართული ლუდის კომპანიის“ (ლიტრი) წილი - %;
- ბაზრის კონცენტრაციის HHI ინდექსი - 2 590.

ლუდის ბაზარი - 2023 წელი:

- ბაზარზე მოქმედი კომპანიების რაოდენობა - 75;
- ბაზრის მოცულობა - 90 532 597 ლიტრი;
- სს „ქართული ლუდის კომპანიის“ (ლიტრი) წილი - %;
- ბაზრის კონცენტრაციის - HHI ინდექსი - 1888.

არაალკოჰოლური სასმელების ბაზარი მაღალკონცენტრირებულია, თუმცა კონცენტრაციის ინდექსი მცირედით აღემატება ზომიერად კონცენტრირებული ბაზრის ინდექსის მაქსიმალურ მაჩვენებელს (2250). ამასთან, ბაზარზე სს „ქართული ლუდის კომპანიის“ წილი და შეადგენს %-ს. ამდენად, კონცენტრაციის შეფასების მიზნებისათვის მნიშვნელოვანია, რომ კონცენტრაციის მაჩვენებელი განპირობებულია არა მისი, არამედ სხვა ეკონომიკური აგენტის საბაზრო მდგომარეობით და არ არის გამოწვეული სს „ქართული ლუდის კომპანიის“ მიერ.

⁵ სააგენტოს 2024 წლის 12 მარტის N 02/974 წერილი.

რაც შეეხება ლუდის ბაზარს, მართალია აქ სს „ქართული ლუდის კომპანიის“ წილი არაალკოჰოლურ ბაზართან შედარებით მაღალია და შეადგენს % -ს, თუმცა საერთო ჯამში ბაზარი ზომიერად კონცენტრირებულია.

სააგენტო აქვე აღნიშნავს, რომ კონცენტრაციების კონტროლის მიზანს წარმოადგენს პირთა მხოლოდ ისეთი კონცენტრაციის დაუშვებლობა, რომელიც არსებითად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას შესაბამის ბაზარზე. შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, მიიღება გადაწყვეტილება დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ. შესაბამის ბაზარზე დაგეგმილი კონცენტრაციის შედეგად კონკურენციის არსებითი შეზღუდვა კავშირშია ამ ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის შექმნასთან ან მის გამლიერებასთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თავის მხრივ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი არ ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი წილი 40 პროცენტს არ აღემატება.

რაც შეეხება სს „ქართული ლუდის კომპანიის“ კონტროლს დაქვემდებარებულ შპს „ზედაზენი 2012“-ს, მასზე ტრანზაქციის შედეგად შპს „დეილი“ მოიპოვებს არაპირდაპირ კონტროლს (ერთპიროვნულად), შესაბამისად, რადგანაც ეს კომპანია ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებს სადისტრიბუციო მომსახურების ბაზარზე, სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული ბაზარიც შეესწავლა. ინფორმაცია ქვეყანაში მოქმედი სადისტრიბუციო კომპანიების შესახებ მიღებულ იქნა საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციიდან.⁶ მონაცემების დამუშავების შედეგად კი დადგინდა, რომ სადისტრიბუციო მომსახურების ბაზრის მოცულობამ 2023 წელს შეადგინა 6 264 342 157 ლარი. მათ შორის, შპს „ზედაზენი 2012“-ის⁷ წილმა შეადგინა % (ლარი), ხოლო ბაზრის კონცენტრაციის ინდექსმა (HHI) 518.02 ერთეული⁷, რაც დაბალკონცენტრირებული ბაზრის მაჩვენებელია. ამასთანავე, განსახილველი კომპანიის საბაზრო წილი შესაბამის ბაზარზე

შესაბამისად, სააგენტოს მიერ განხორციელებული ბაზრის ანალიზის, კონკრეტულად კი შეფასებული ბაზრების სტრუქტურის, აგრეთვე, კონცენტრაციის მონაწილე მხარეებისა და მათთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტების საბაზრო წილების გათვალისწინებით, განსახორციელებული კონცენტრაცია არ ახდენს არსებით გავლენას კონკურენტულ გარემოზე.

IV. კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს შეფასება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ დაადგინა, რომ შპს „დეილის“ (ს/ნ 406088638) მიერ სს „ქართული ლუდის კომპანიის“ (ს/ნ 404900737) აქციების 100%-ის შეძენის შედეგად ეკონომიკურ აგენტზე სრული ერთპიროვნული კონტროლის მოპოვების გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია „კონკურენციის

⁶ სააგენტოს 2023 წლის 4 აგვისტოს N 02/2112 წერილი.

⁷ ა(ა)იპ საქართველოს დისტრიბუტორთა ბიზნეს ასოციაციის 2023 წლის 7 აგვისტოს წერილი (რეგ. N 01/2116, 7 აგვისტო, 2023 წ.)

შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან.